

ოქმი № 2**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის**

2019 წელი, 4 მარტი

ქ.ოზურგეთი

12.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.ჩაგანავა - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: გ.მდინარაძე, ბ.თოიძე, ალ.ლონტი, ვ.ბერიძე, მ.ზოიძე, ბ.ქათამაძე, დ.ჭაკნელიძე, ტ.აროშიძე, მ.გოგოტიშვილი, გ.ჩავლეშვილი.მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე - გ.ღურჯუმელიძე.

მუნიციპალიტეტის მერი - კ.შარაშენიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხს: გ.ჩაგანავა**თანამომხს: პ.ჭყონია**

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხს: გ.ჩაგანავა

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

მომხს: გ.ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო

მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ, ხოლო ვრცელი მოხსენება გააკეთა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა პ.ჭყონიამ. შემდეგ გაიმართა მსჯელობა, კომისიის წევრმა ტ.აროშიძემ იკითხა- მოხდება თუ არა სარვამართოდ საბავშვო ბაღების თანამშრომლებზე ერთჯერადი პრემიის გაცემა. მიიღო პასუხი, რომ შეეცდებიან გამონახონ თანხები. კომისიის წევრმა გ.ჩავლეშვილმა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სახელით დააყენა საკითხი მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, ყოველ ახალშობილ ბავშვზე 300 ლარიანი ერთდროული დახმარების გაცემის თაობაზე, რომელზეც მიიღო პასუხი, რომ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია შესაბამის სამინისტროსთან შეთანხმებით. კომისიის წევრებმა საბოლოოდ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა კომისიას გააცნო ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის ანგარიში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს ანგარიში და რეკომენდაციები მიიღონ ცნობად, დაელოდონ შესაბამისი სამსახურების მიერ ძიების საბოლოო შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში კვლავ განიხილონ იგი.

მოისმინეს და იმსჯელეს მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშზე და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

გადაწყვეტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა (თან ერთვის) და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სამივე პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

გიორგი ჩავლეშვილი

კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია